

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის
დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება
 - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამტატო ერთეული - **სპეციალობით ინჟინერ-გეოლოგი**, (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი).
2. ზღვებისა და წყალსატევების განყოფილება
 - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამტატო ერთეული - **სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი** (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი).
3. მელიორაციულის სისტემების დაპროექტების და ექსპერტიზის განყოფილება
 - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამტატო ერთეული - **სპეციალობით ინჟინერ-ეკონომისტი**, წყალთა მეურნეობის ეკონომიკის მიმართულებით (ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი).

უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

- ✓ ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში მის თემატიკაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-ძიებების შესახებ;
- ✓ კვლევა-ძიებების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები.

უფროს მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

- ✓ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან 1 მაინც – მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად (მაგ., Elsevier scopus, Web of Science და სხვა ბაზებში განთავსებულ) გამოცემებში;
- ✓ არანაკლებ 3 მოხსენებით უნდა იყოს გამოსული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.